

შპს "ნიტროლ" (405503655)

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შპს „ნიტროლ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ----- 5
2. მომზადების საფუძვლები ----- 5
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა ----- 8
4. ამონაგები ----- 9
5. საბიუჯეტო გადასახადები ----- 9
6. სავაჭრო და სხვა მთხოვნები ----- 9
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ----- 9
8. ძირითადი საშუალებები ----- 10
9. სავაჭრო ვალდებულებები ----- 11
10. საკუთარი კაპიტალი ----- 11
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ----- 11
12. საპროცენტო შემოსავალი ----- 11
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება ----- 12


შპს ნიტროლ (405503655)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	5992494	3018744	588947
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3535505	1341979	377545
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		1921549	1907866	2838
მარაგები	7	3159	185845	21602
ძირითადი საშუალებები	8	3194519	1,642,332	1,003,243
სულ აქტივები		14647226	8096766	1994175
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	2019210	371968	51788
საგადასახადო ვალდებულებები	5	411808	384147	19865
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		1245762	1277893	134931
სხვა ვალდებულებები		3459	0	0
სულ ვალდებულებები		3680239	2034008	206584
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	10	1132436	973043	673085
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10	9834551	5089715	1114506
სულ საკუთარი კაპიტალი		10966987	6062758	1787591
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		14647226	8,096,766	1,994,175

დირექტორი მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი პირი: დავით გოგრიჭიანი

ხელმოწერა:




შპს ნიტროლ (405503655)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	4	9934963	6136607
გაყიდვების თვითღირებულება		(1348944)	(267118)
საერთო მოგება		8586019	5869489
სხვა საოპერაციო შემოსავალი		248949	48309
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1936250)	(849979)
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	8	(393746)	(269829)
საპროცენტო შემოსავალი	12	449743	100143
საპროცენტო ხარჯი		(109272)	(54916)
იჯარის ხარჯი		(92474)	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(2008135)	(862686)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3841185)	(1888958)
საოპერაციო მოგება		4744834	3980531
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი			
ოპერაციებიდან		4744834	3980531
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		4744834	3980531
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		4744834	3980531
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		6062758	1787591
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		159395	294636
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10	10966987	6062758

დირექტორი მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი პირი: დავით გოგრიჭიანი

ხელმოწერა:



5-10 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

"ნიტროლ" შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა.აფაქიძის ქ. №5, ბინა 156

კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სახის ტექნიკურ სამუშაოებს, ძირითადი მიმართულებები მოიცავს სამშენებლო პროცესებისთვის აუცილებელ, დამხმარე, ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებს, ასევე გზების მიმდებარედ მეწყერსაშიში ფერდობების გამაგრებასა და სტაბილიზაციას. დამხმარე საქმიანობა, კი არის ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საქონლისა და ნედლეულის რეალიზაციები.

კომპანიის მესაკუთრეების წილი წარმოდგენილია შემდეგი პროპორციულობით: დავით გოგრიჭიანი (პ/ნ 01008015425) – 33% ; არას ოზბეი , (პ/ნ 01092000232) – 34% ; მეთე ჰან ერჩელიქ (პ/ნ 61391001676) – 33%;

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერ-თაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

სასარგებლო ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	10-20
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-8

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგ-როვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია,

საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა-ნა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ს) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯე- ბით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2024	2023
საქონლის რეალიზაცია	460,097	337,132
მომსახურების გაწევიდან	9,474,866	5,799,475
ჯამი	9,934,963	6,136,607

5. საბიუჯეტო გადასახადები

	2024	2023
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	411,808	384,147

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,501,101	1,341,979
გადახდილი ავანსები	20,209	0
სხვა მოკლევადიანი აქტივი	14,195	0
	<u>3,535,505</u>	<u>1,341,979</u>

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2024	2023
ნედლეული და მასალები	999	16,969
საქონელი	<u>2,161</u>	<u>167,876</u>
	3,159	185,845

8. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება

დასახელება	01.01.2024	შემოსავლა	გასვლა	31.12.2024
შენობა - ნაგებობები	309,959	216,653	0	526,613
მანქანა-დანადგარები	1,346,923	496,030	0	1,842,953
ოფისის აღჭურვილობა	7,403	84957		92,359
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3,805			3,805
სატრანსპორტო საშუალებები	335,197	1,279,968	170,521	1,444,643
სულ:	2,003,286	2,077,608	170,521	3,910,373

დაგროვებული ცვეთა

დასახელება	01.01.2024	წლიური ცვეთა	გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	31 დეკემბერი 2024წ.
შენობა - ნაგებობები	10,332		18,592	28,924
მანქანა-დანადგარები	324,098		268,428	592,526
ოფისის აღჭურვილობა	1,315		18,193	19,508
ავეჯი და სხვა ინვენტარი	385		684	1,069
სატრანსპორტო საშუალებები	24,824	38,844	87,848	73,828
სულ:	360,954	38,844	393,746	715,855

საბალანსო ღირებულება

დასახელება	31.12.2024
შენობა - ნაგებობები	497,688
მანქანა-დანადგარები	1,250,427
ოფისის აღჭურვილობა	72,851
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2,736
სატრანსპორტო საშუალებები	1,370,816
სულ:	3,194,519

9. სავაჭრო ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,019,210	371,968
	<u>2,019,210</u>	<u>371,968</u>

10. კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალი შეადგენს 10,966,987 ლარს, რომელიც შედგება 1,132,436 ლარის საწესდებო კაპიტალისა და 9,834,551 ლარის გაუნაწილებელი მოგებისგან.

11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
ფულადი სახსრები სალაროში	5,485	4,000
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	5,987,009	3,014,744
ჯამში	5,992,494	3,018,774

12. საპროცენტო შემოსავალი

	2024	2023
ანაბარზე დარიცხული სარგებელი	449,743	100,143
	<u>449,743</u>	<u>100,143</u>

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი პირი:

დავით გოგრიჭიანი

ხელმოწერა:

